ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული საჭიროებათა კვლევისა და შეფასების ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

ოზურგეთი
2020

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
Democratic Development Union of Georgia

გურიის მედიატორთა ასოციაცია
Mediators Association of Guria

MEDIATORS' ASSOCIATION OF GURIA

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული საჭიროებათა კვლევისა და შეფასების ანგარიში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

ავტორი: „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“

წინამდებარე ანგარიში შექმნილია „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერი ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციები „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ და „გურიის მედიატორთა ასოციაცია“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

შესავალი

„საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირისა“ და „გურიის მედიატორთა ასოციაციის“ მიერ 2019 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა, რომელიც ძირითად მიზნად ისახავდა უშუალოდ ადმინისტრაციული ერთეულის / მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების წინაშე არსებული პრობლემების / საჭიროებების იდენტიფიცირებასა და კვლევას მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში.

მოსახლეობის აზრის გამოკითხვა განხორციელდა კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის - „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ - ეგიდით დაფინანსებული პროექტის - „ნარჩენების მართვის სახელისუფლებო ვალდებულებები და გარემოს დაცვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“ - ფარგლებში.

ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დასახლებებში (ჯუმათი, ბოგილი, იანეთი, ძირჯუმათი) მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვის მიზნის მისაღწევად პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციების მიერ არჩეული იქნა რესპოდენტთა გამოკითხვის რაოდენობრივი მეთოდი, პირისპირ ინტერვიუირების გზით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა სპეციალური სტრუქტურირებული ანკეტა. თავიდანვე აქცენტი გაკეთებული იქნა იმაზე, რომ გამოკითხული ყოფილიყო ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ დასახლებებში მცხოვრები, ფაქტიურად, მოქმედი ყველა მესამე ოჯახის თითო სრულწლოვანი წევრი, რესპოდენტთა შერჩევისას გენდერული ბალანსის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით. პრაქტიკულად, აზრის გამოკითხვა ყველა იმ მესამე (ან მომდევნო) ოჯახში განხორციელდა, რომლის ერთმა სრულწლოვანმა წევრმა მაინც თანხმობა განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე. რესპოდენტთა უშუალო გამოკითხვა, პირისპირ ინტერვიუირების გზით, სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, უზრუნველყო პროექტის პარტნიორმა ჯუმათის სათემო ცენტრმა „ჯუმამ“.

სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარი 12 კითხვისგან შედგებოდა და სამ ნაწილად (ბლოკად) იყო დაყოფილი:

პირველი ნაწილი (*A ბლოკი*) - „საჭიროებათა იდენტიფიცირება და განსაზღვრა“ – 7 შეკითხვას აერთიანებდა, რომელთაგან 1 „ღია“ ტიპის შეკითხვა იყო, დანარჩენი 6 კი - „დახურული“ ტიპის. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ბლოკი, უშუალოდ, კითხვარისა და, ზოგადად, მოსახლეობის აზრის გამოკითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი ნაწილი იყო, რამეთუ სწორედ იგი ემსახურებოდა იმას, რომ დადგენილიყო ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულისა და მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების (ჯუმათი, ბოგილი, იანეთი, ძირჯუმათი) წინაშე მუნიციპალური ნარჩენების მართვის კუთხით არსებული პრობლემები / საჭიროებები;

მეორე ნაწილი (*B ბლოკი*) – „მოსახლეობის ინფორმირება გარემოსდაცვით სფეროში მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ“ - კითხვარის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და იგი, ჯამში, 5 დახურული ტიპის კითხვას მოიცავდა. კითხვარის ეს ნაწილი (ბლოკი) მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ რამდენად არსებობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის და, ზოგადად, გარემოსდაცვით სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობა და რამდენად მზადაა იგი ამ პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის საჭირო

ღონისძიებებში მონაწილეობისთვის;

ხოლო კითხვარის დასკვნითი, *მესამე ნაწილი* - ე.წ. „დემოგრაფიული ბლოკი“ (*C ბლოკი*) მიზნად ისახავდა რესპონდენტის შესახებ დემოგრაფიული მონაცემების დადგენას (სქესი, ასაკი, ვინაობა და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების დამუშავება მოხდა Excel-ის ფორმატში „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ მიერ შემუშავებული ცხრილით. კვლევების შედეგების დამუშავება მოიცავდა პროექტის პარტნიორი ჯუმათის სათემო ცენტრ „ჯუმას“ წევრთა მიერ შევსებული კითხვარებიდან ინფორმაციის კომპიუტერში შეტანას, მის დამუშავებას და მიღებული შედეგების ცხრილური და გრაფიკული სახით მომზადებას.

გამოკითხვის შედეგები

III ნაწილი - დემოგრაფიული ბლოკი

მოსახლეობის აზრის გამოკითხვის / კვლევის ფარგლებში რესპოდენტები გამოკითხულნი იქნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებების (ჯუმათი, ბოგილი, იანეთი, ძირჯუმათი) მიხედვით. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 160 რესპოდენტმა, რომელთაგან 86 ქალი (53,8%) იყო, 74 კი - მამაკაცი (46,2%).

საკუთრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ცალკეული დასახლებების მიხედვით გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტების კონკრეტული რაოდენობა (მათ შორის გენდერული ჭრილის გათვალისწინებით) კი შემდეგნაირად გამოიყურება:

ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლება	გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტები		
	რესპოდენტთა საერთო რაოდენობა	მ.შ.: მამაკაცი	მ.შ.: ქალი
I	II	III	IV
ჯუმათი	40	18	22
ბოგილი	40	19	21
იანეთი	40	18	22
ძირჯუმათი	40	19	21
სულ:	**160**	**74**	**86**

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ საინფორმაციო პორტალ „გურია.ge“-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა 1394 ადამიანს შეადგენს (იხ. http://www.guria.ge/media/k2/attachments/1844-2.pdf), გამოდის, რომ კვლევის ფარგლებში, რესპოდენტების სახით, გამოკითხული იქნა ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 11,5%. ეს კი, ფაქტიურად, იმას ნიშნავს, რომ ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ყოველი მე-8 მოსახლის აზრი არის დაფიქსირებული წარმოდგენილ გამოკითხვის შედეგების ამსახველ ანგარიშში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აღნიშნული რაოდენობა სავსებით საკმარისია, ზოგადად, ადმინისტრაციულ ერთეულში / მის შემადგენლობაში შემავალ დასახლებებში არსებული პრობლემური საკითხების გარშემო სრული სურათის შესაქმნელად.

I ნაწილი - „საჭიროებათა იდენტიფიცირება და განსაზღვრა“

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კითხვარის ეს ნაწილი (A ბლოკი), რომელიც 7 შეკითხვას მოიცავდა, მიზნად ისახავდა იმ პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენას / დადგენას, რომლებიც, მუნიციპალური ნარჩენების მართვის კუთხით, დგას ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულისა და მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების (ჯუმათი, ბოგილი, იანეთი, ძირჯუმათი) წინაშე.

კითხვარის ეს ბლოკი იწყებოდა იმის გარკვევით, თუ როგორია მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცილების არსებული პრაქტიკა. ამ მიზნით, რესპოდენტთათვის შეთავაზებული იქნა ნარჩენების მოშორების სხვადასხვა მეთოდების ჩამონათვალი, რომელთაგან მათ უნდა მიეთითებინათ ის მეთოდები, რომლებსაც ამ ნარჩენის მოშორებისთვის იყენებენ. შესაბამისად, პირველ კითხვაზე - ***„გთხოვთ, გვიპასუხოთ, სად ყრით ნაგავს თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები?“*** - გაცემული პასუხები (გრაფიკული სახით გამოხატული) შემდეგნაირ სურათს იძლევა:



ფაქტობრივად, გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთა მხოლოდ 32,5% (52 ადამიანი) აცხადებს, რომ საყოფახცოვრებო ნარჩენებს სახლთან ახლოს განთავსებულ ნაგვის კონტეინერებში ყრის, ხოლო მათი საკმაოდ დიდი ნაწილი, კერძოდ, 47,5% (76 რესპოდენტი) ამ ნარჩენის თავიდან მოცილების ისეთ ფორმას მიმართავს, როგორიც მისი დაწვაა, რაც საგანგაშო ტენდენციად უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ეს ფორმა უკიდურესად უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემოზე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 19,4% (31 კაცი) საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცილების „სხვა“ ისეთ მეთოდებს მიმართავს, როგორიცაა:

„ნაგვის ხევში გადაყრა“, „სახლთან ახლოს ღელეში დაყრა“, „ხრამში გადაყრა“, „ნაგვის დაგროვება და კონტეინერებამდე მანქანით ჩატანა“... ფაქტობრივად, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის პროცესში უშუალოდ არცერთი რესპოდენტი პირდაპირ სახელდებით არ მიუთითებს სოფელში არსებულ ე.წ. „სტიქიურ“ ნაგავსაყრელზე, გამოკითხული რესპოდენტების გარკვეული ნაწილი,არაპირდაპირი ფორმით, ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხივე დასახლებაში საუბრობენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების (იგივე „სტიქიური“ ნაგავსაყრელების) არსებობაზე და აცხადებს, რომ ნაგავს ხევში, ხრამში, ღელეში ჰყრის; ეს კი პირდაპირ უკავშირდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვალდებულებას „სტიქიური ნაგავსაყრელების რემედიაცია / დახურვის“ თაობაზე (იხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №72 განკარგულების დანართი 1-ით დამტკიცებული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა“, ამოცანა 4.1).

ანკეტის ამ ნაწილის მომდევნო შეკითხვა ეხებოდა იმის დადგენას, იყო თუ არა რესპოდენტ(ებ)ისთვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებული ნაგვის კონტეინერები. კითხვაზე: ***„თქვენს უბანში, თქვენი სახლის მახლობლად განთავსებულია თუ არა ნაგვის კონტეინერები?“*** - პასუხების სახით,მიღებული შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც ჩანს, გამოკითხულ რესპოდენტთა 75,6%-ისთვის (121 ადამიანი), პრაქტიკულად, ხელმიუწვდომელია ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ნაგვის კონტეინერები; ამ კონტეინერებზე თავისუფლად ხელმისაწვდომი წვდომა მხოლოდ რესპოდენტთა 24,4%-ს (39 კაცი) გააჩნია. ამასთან, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძირჯუმათში გამოკითხული 40 რესპოდენტიდან ყველა მათგანი ერთხმად ადასტურებს, რომ მის უბანში / დასახლებაში, საერთოდ, არ არის განთავსებული ნაგვის კონტეინერები; ხოლო ბოგილიდან გამოკითხვაში მონაწილე 40 რესპოდენტიდან მხოლოდ 1 (ერთიი) მათგანი აცხადებს, რომ მის უბანში, მისი საცხოვრებელი სახლის მახლობლად ნაგვის კონტეინერ(ებ)ი არსებობს. ამ მხრივ, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, საკუთრივ, სოფელ ჯუმათსა და იანეთში, რომლებშიც გამოკითხული 80 რესპოდენტიდან 38 (47,5%) ამბობს, რომ მის უბანში ნაგვის კონტეინერ(ებ)ი არსებობს. პრინციპში, ამგვარი სიტუაცია სულაც არაა გასაკვირი, - განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული ნაგვის კონტეინერების არსებული რაოდენობა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის 08/11/2019-ის №14233 წერილის თანახმად), საერთო ჯამში, მხოლოდ 4 (ოთხი) ერთეულს შეადგენს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკური იყო ამ საკითხთან უშუალო შემხებლობაში მყოფ შემდგომ კითხვაზე დაფიქსირებული შედეგიც, რომელიც რესპოდენტთა მხრიდან მათ დასახლებებში ნაგვის კონტეინერების საკმარისობის შეფასების საკითხს ეხებოდა. კერძოდ, კითხვა შემდეგნაირი ფორმულირებით იყო დასმული: ***„თქვენი აზრით, რამდენადაა საკმარისი თქვენს სოფელში (უბანში) განთავსებული ნაგვის კონტეინერების რაოდენობა?“***, მიღებული შედეგები კი ასე გამოიყურება:



საგულისხმო ფაქტია, რომ გამოკითხული რესპოდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (97,5%-მა) ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად დააფიქსირა, რომ მათ დასახლებაში / უბანში ნაგვის კონტეინერები აშკარად არასაკმარისია; მხოლოდ 4 ადამიანი (2,5%) მიიჩნევს ნაგვის კონტეინერების არსებულ რაოდენობას საკმარისად.

შემდეგი კითხვა ეხებოდა ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებებიდან მუნიციპალიტეტის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის დადგენას. კითხვაზე: - ***„თქვენი დასახლებიდან (უბნიდან), საშუალოდ, კვირაში რამდენჯერ (რა ინტენსივობით) ხდება ნაგვის კონტეინერის დაცლა / ნაგვის გატანა?“*** - მიღებული პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



როგორც ჩანს, მიღებული შედეგები მეტისმეტად არაერთგვაროვანია: რესპოდენტთა მხოლოდ 1,3% (2 ადამიანი) აცხადებს, რომ მისი უბნიდან ყოველდღე ხდება სანაგვე კონტეინერის დაცლა და ნაგვის გატანა, 16,9%-ის (27 ადამიანი) მტკიცებით, ამ პროცესს კვირაში ორჯერ აქვს ადგილი (6,3% მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ნაგვის გატანა კვირაში მხოლოდ ერთხელ ხდება, ხოლო 0,6% (1 რესპოდენტი) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობად - კვირაში სამჯერ გატანას ასახელებს). ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა დიდი წილი (75%) ნაგვის გატანის ინტენსივობაზე „სხვა“ აზრისანი არიან: მათი 39,4% (63 კაცი) აცხადებს, რომ არაფერი იცის ნაგვის გატანის ინტენსივობის შესახებ, 19,8%-ის (31 ადამიანი) აზრით, ნაგვის გატანა თვეში ერთხელ ხდება, ხოლო რესპოდენტთა 13,8% (22 ადამიანი) ნაგვის გატანის ინტენსივობად თვეში ორჯერ გატანას ასახელებს.

შემდეგი შეკითხვა მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიღებას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ დასახლებებში ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელები. კითხვაზე: - ***„თქვენს სოფელში (უბანში) არსებობს თუ არა საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ისეთი (სპონტანური) ადგილები, სადაც მოსახლეობა ნაგავს ყრის (ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელები)?“*** - მიღებული პასუხები, დიაგრამის სახით წარმოდგენილი, შემდეგ სურათს იძლევა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 6% უარყოფს მათ დასახლებაში სტიქიური ნაგავსაყრელ(ებ)ის არსებობას, მეორე ნაწილს კი ან პასუხის გაცემა უჭირს (44%), ან კიდევ პირდაპირ ადასტურებს ასეთი ნაგავსაყრელ(ებ)ის არსებობას (50%). ამასთან, საგულისხმოა, რომ, ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების არსებობაზე ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხივე დასახლებაში მცხოვრები რესპოდენტები საუბრობენ.

ასევე საინტერესო იყო იმის გარკვევაც, თუ როგორ აფასებს ადგილობრივი მოსახლეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სერვისს და რამდენად კმაყოფილია ამ მომსახურებით. შესაბამისად, რესპოდენტებისთვის დასმული იყო კითხვა: ***„როგორ შეაფასებდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი დასახლებებისთვის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის კუთხით, შეთავაზებულ***

დასუფთავების სერვისს?“ მიღებული პასუხები (შედეგები) წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ინფოგრაფიკში:



როგორც ვხედავთ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის კუთხით, მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ დასუფთავების სერვისს ადმინისტრაციულ ერთეულში გამოკითხული რესპოდენტები არაერთგვაროვნად აფასებენ: მათი 65% ამ სერვისს ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებს, კიდევ 20% კი - უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად; დასუფთავების სერვისს დადებითად მხოლოდ გამოკითხულ პირთა 6% აფასებს, 9% კი აცხადებს, რომ მისი შეფასება უფრო დადებითისკენ იხრება, ვიდრე უარყოფითისკენ. აქ თავის წილ (არცთუ უმნიშვნელო) როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ სოფელ ძირჯუმათისა და ბოგილის მაცხოვრებლები (აქ გამოკითხული რესპოდენტის თითქმის ერთხმივი მტკიცებით), საერთოდ, მოკლებულნი არიან ამ ტიპის სერვისს და ვერ სარგებლობენ მისი სიკეთეებით.

მნიშვნელოვანი იყო ასევე რესპოდენტების მოსაზრებები იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა გაატაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მუნიციპალური ნარჩენების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისთი. ამ საკითხთან მიმართებაში უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, ანკეტის ამ ნაწილის (A ბლოკის) ბოლო შეკითხვად დასმული იქნა ე.წ. „ღია ტიპის“ კითხვა, რომელიც კითხვარში შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: ***„თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ დასახლებებში გაუმჯობესდეს / მოწესრიგდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების / ნაგვის გატანის კუთხით არსებული მდგომარეობა?“*** ამ შეკითხვაზე მიღებული რესპოდენტთა პასუხები ასე გამოიყურება:



როგორც ზემოთ მოცემული ინფოგრაფიკიდან ჩანს, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად მოსახლეობა ადგილობრივ ხელისუფლებას სავსებით ლოგიკური ღონისძიებების გატარებას ურჩევს, რომლებიც, რესპოდენტების მიერ მინიჭებული პრიორიტეტულობის მიხედვით, შემდეგნაირად ჯგუფდება: (1) სანაგვე კონტეინერების განთავსების უზრუნველყოფა ყველა უბანში / დასახლებაში; (2) ნაგვის კონტეინერების არსებული რაოდენობის გაზრდა; (3) ნაგვის კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის გაზრდა; (4) ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების დასუფთავება.

II ნაწილი - მოსახლეობის ინფორმირება გარემოსდაცვით სფეროში მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ

კითხვარის ეს ნაწილი (*B ბლოკი*), საკუთრივ, კითხვარისა და, ზოგადად, მოსახლეობის აზრის გამოკითხვის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და იგი, ჯამში, დახურული ტიპის 5 კითხვას მოიცავდა. ანკეტის ეს ნაწილი (ბლოკი) მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ რამდენად არსებობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის და, ზოგადად, გარემოსდაცვით სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობა და რამდენად მზადაა იგი ამ პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის.

კითხვარის აღნიშნული ბლოკი იხსნებოდა რესპოდენტებისაგან იმ ინფორმაციის ამოღებით, სმენიათ თუ არა მათ რაიმე სეპარირების კონკრეტული კომპონენტების მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. უშუალოდ შეკითხვა ანკეტაში შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: ***„გსმენიათ თუ არა რაიმე ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებაზე, რომ მას 2019 წლიდან უნდა დაეწყო მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების (სოფლების) საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ასევე ადმინისტრაციულ შენობებში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების (დახარისხების) სისტემის პროექტის განხორციელება?“*** პასუხად მიღებული შედეგები, ინფოგრაფიკის სახით, ასე გამოიყურება:



საგულისხმოა, რომ აღნიშნულ კითხვაზე 160 გამოკითხული რესპოდენტიდან, ფაქტობრივად, დიდი უმრავლესობის - 90,6%-ის (145 ადამიანი) პასუხი უარყოფითი იყო. ეს ცალსახად ადასტურებს მუნიციპალიტეტის მიერ ამ მიმართულებით ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოების საჭიროებასა და აუცილებლობას.

ანკეტის ამ ნაწილის შემდეგი კითხვა ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მზაობის დადგენას სხვადასხვა სახის მუნიციპალური ნარჩენის სეპარირებული შეგროვების პროცესში მონაწილეობაზე. შესაბამისად, კითხვაზე: - ***„მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ნაგვის დახარისხების სისტემაში?“*** - საკმაოდ საინტერესო შედეგები დაფიქსირდა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპოდენტების 46,3% (74 ადამიანი) პრაქტიკულად მზადაა, მონაწილეობა მიიღოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირების (დახარისხების) პროცესში, მაგრამ აქ საინტერესო სულ სხვა რამაა: ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულ პირთა საკმაოდ დიდი ნაწილი (51,3%) ჩამოყალიბებული არ არის თავის პოზიციაში და ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, თუ რას წარმოადგენს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა. ეს

გარემოებაც კიდევ ერთი დამატებითი დასტურია იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ აქტიური და ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის გეგმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და კომპონენტებზე საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მათ შორის შესაბამისი ნარჩენების სახეობების იდენტიფიცირების უნარისა თუ მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევათა გამომუშავების მიზნით.

კითხვარის შემდეგი შეკითხვა უკვე რესპოდენტისაგან პირდაპირ მოითხოვდა გარემოსდაცვით სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირების აუცილებლობის შეფასებას. უფრო კონკრეტულად კი, შეკითხვის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ***„თქვენი შეფასებით, არსებობს თუ არა გარემოსდაცვით სფეროში მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობა?“*** მიღებული შედეგები, დიაგრამის სახით წარმოდგენილი, ასე გამოიყურება:



პრინციპში, ამ შეკითხვის პასუხად მიღებული შედეგები ნათლად გამოხატავს გამოკითხულ რესპოდენტთა ძირითად განწყობას იმის თაობაზე, რომ გარემოსდაცვით სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება აუცილებელია.

აღნიშნული საკითხის კიდევ უფრო დაზუსტების მიზნით, რესპოდენტებისთვის შემდეგ შეკითხვად დასმული იქნა დამაკონკრეტებელი ხასიათის კითხვა: ***„თქვენი აზრით, ვინ უნდა უზრუნველყოს გარემოსდაცვით სფეროში მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება?“*** მიღებული პასუხები ინფოგრაფიკში შემდეგნაირად აისახა:



როგორც ამ ინფოგრაფიკიდან ჩანს, რესპოდენტებს გარემოსდაცვით სფეროში მუნიციპალიტეტის ვალდებულებების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირების მოლოდინი უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების (გამოკითხულთა 73,7%-ს) და ასევე გარემოდაცვითი ორგანიზაციების (25,6%-ს) მხრიდან აქვს.

და ბოლოს, განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევაც, თუ რამდენად არის მზად მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების ეფექტიანი სერვისის უზრუნველყოფის შემთხვევაში, გადაიხადოს დასუფთავების მოსაკრებელი. შესაბამისად, ანკეტის ამ ნაწილის ბოლო შეკითხვად რესპოდენტებისათვის დასმული იქნა შემდეგი შინაარსის კითხვა: ***„თანახმა ხართ, თუ არა, რომ გადაიხადოთ დასუფთავების მოსაკრებელი იმისთვის, რომ თქვენს სოფელში (დასახლებაში) მოწესრიგდეს დასუფთავების საკითხი?“*** პასუხები ამ შეკითხვაზე გრაფიკულად ასე გადანაწილდა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპოდენტების 47% პრაქტიკულად თანახმაა და მზადაა იმისათვის, რომ, მის სოფელში დასუფთავების საკითხის მოწესრიგების შემთხვევაში, დასუფთავების მოსაკრებელი გადაიხადოს; მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ გამოკითხულ პირთა 4%-ს გააჩნია. ამასთან, საგულისხმოა, რომ რესპოდენტთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი (49%) თავის პოზიციაში ჯერ ჩამოყალიბებული არ არის და არ იცის, თანახმა იქნება თუ არა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდაზე. შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა მოუწევს ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, რათა მოსახლეობის იმ ნაწილის პოზიცია, რომელიც თავის თავში ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან მიმართებით დადებითისკენ შეიცვალოს.

ძირითადი მიგნებები / დასკვნები:

- ✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებებისთვის (ჯუმათი, იანეთი, ბოგილი, ძირჯუმათი) შეთავაზებული მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების სერვისი, გეოგრაფიული თვალსაზრისთ, სრულად ვერ ფარავს მის ყველა დასახლებას;

- ✓ მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების სერვისის თვალსაზრისით, ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან (მაგალითად, სოფ. ძირჯუმათში, ასევე ბოგილში ეს სერვისი, საერთოდ, არ ხორციელდება);

- ✓ ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილი და მის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგვის კონტეინერების არსებული რაოდენობა (4 ერთეული) აშკარად არასაკმარისია მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების სერვისის ეფექტიანად განსახორციელებლად;

- ✓ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი, პრაქტიკულად, მოკლებულია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ნაგვის კონტეინერებზე წვდომას;

- ✓ გამოკითხვის პროცესში მონაწილე რესპოდენტები (მათი გარკვეული ნაწილი) ადასტურებენ ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების არსებობას ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ ოთხივე დასახლებაში;

- ✓ არაერთგვაროვანია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება და შეფასებები ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებებიდან მუნიციპალიტეტის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობასთან და სერვისით კმაყოფილებასთან დაკავშირებით;

- ✓ ადგილობრივი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირების (დახარისხების) პროცესში, თუმცა მისი საკმაოდ დიდი ნაწილი ამ კუთხით ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული თავის პოზიციაში;

- ✓ ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობა, პრინციპში, თანახმაა გადაიხადოს დასუფთავების მოსაკრებელი იმისათვის, რომ მის სოფელში (დასახლებაში) მოწესრიგდეს მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების საკითხი;

- ✓ ადგილობრივ მოსახლეობაში, ძირითადად, არსებობს განწყობა, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვით სფეროში მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ვალდებულებების (მათ შორის მუნიციპალური ნარჩენების სხვადასხვა სახეობის სეპარირების) შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება აუცილებელია...

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, რომ მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების სერვისმა, გეოგრაფიული თვალსაზრისთ, სრულად მოიცვას და დაფაროს ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხივე დასახლება (ჯუმათი, იანეთი, ბოგილი, ძირჯუმათი);

- მუნიციპალური ნარჩენების გატანის / დასუფთავების სერვისის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანია ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილი და მის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგვის კონტეინერების არსებული რაოდენობის არსებითად გაზრდა;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ადეკვატური რაოდენობის სანაგვე კონტეინერების განთავსება ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა დასახლებაში / უბანში;

- განხორციელდეს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგვის კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის გაუმჯობესების მიმართულებით;

- „სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა / რემედიაციის“ ვალდებულების ფარგლებში (იხ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა“, ამოცანა 4.1), ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებებში (ჯუმათი, იანეთი, ბოგილი, ძირჯუმათი) ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების (ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების) სრული ინვენტარიზაცია (ადგილმდებარეობის, მოცულობის, შემადგენლობის იდენტიფიცირება) და ამ ადგილების დასუფთავება და ტერიტორიის აღდგენა;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საჯარო სკოლასა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, ასევე ადმინისტრაციულ შენობაში ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების (დახარისხების) სისტემის პროექტის განხორციელების, შეძლებისდაგვარად, უმოკლეს ვადაში დაწყება;

- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიგეგმოს და განხორციელდეს ეფექტიანი საინფორმაციო კამპანია მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და კომპონენტებზე საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მათ შორის შესაბამისი ნარჩენების სახეობების იდენტიფიცირების უნარისა თუ მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევათა გამომუშავების მიზნით;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის აუცილებლობის საკითხის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების დონის და ამ საკითხისადმი მისი დადებითი დამოკიდებულების ასამაღლებლად...